



შინაგან საქმეთა
სამინისტრო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის

2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების

უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელმოწერნი, ერთი მხრივ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და მეორე მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, შემდგომში წოდებულნი, როგორც მხარეები,

ვაცნობიერებთ რა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მნიშვნელობას და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის განუხრელი დაცვის აუცილებლობას,

უარს ვამბობთ ქმედებაზე, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის ინტერესის საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად,

ვმოქმედებთ რა საქართველოს კონსტიტუციის მე-3, 23-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს აძლევს სახელმწიფო ხელისუფლების არჩევის უფლებას, პოლიტიკური პარტიის შექმნის უფლებას, 18 წლის ასაკიდან რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლებას,

ვმოქმედებთ რა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 და 21-ე მუხლების შესაბამისად, რომლებიც ყოველ ადამიანს ანიჭებს უფლებას, თავისუფალი ნებით მიიღოს მონაწილეობა მშვიდობიან კრებებსა და ასოციაციებში, თავისუფლად აირჩიოს წარმომადგენელი პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომლებიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების პირობებში, ფარული კენჭისყრით,

გამოვთქვამთ მზადყოფნას, ურთიერთთანამშრომლობის გზით ხელი შევუწყოთ ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენასა და არჩევნების უსაფრთხო, მშვიდ, თავისუფალ გარემოში ჩატარებას,

ვთანხმდებით შემდეგ ზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და რეგულირების სფერო

მემორანდუმის მიზანია, ხელი შეუწყოს 2020 წლის 31 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის, მერის რიგგარეშე და საკრებულოს შუალედური არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარებას, საარჩევნო პერიოდში მხარეთა შორის თანამშრომლობისათვის დამატებითი ფორმებისა და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრას.

მუხლი 2. მხარეთა თანამშრომლობის ფორმები

1. მხარეები თანამშრომლობენ არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფისათვის.
2. არჩევნების დღეს ხმის მიცემის პროცესის მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეებმა კომპეტენციის ფარგლებში, შესაძლებელია დაგეგმონ კონკრეტული ღონისძიებები და ითანამშრომლონ დაგეგმილი ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის.
3. მხარეები დაგეგმილი ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის თანამშრომლობენ, ასევე, ერთობლივი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში.
4. მხარეები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაცვლიან ყველა საჭირო ინფორმაციას და კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციას გაუწევენ ერთმანეთს.

მუხლი 3. სადავო საკითხები

მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე მემორანდუმის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით, გადაწყდება კონსულტაციისა და მოლაპარაკების გზით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე მემორანდუმი მოქმედებს მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების მომდევნო დღემდე.
2. მემორანდუმი შედგენილია 2020 წლის 16 ოქტომბერს, ქ. თბილისში, ქართულ ენაზე, 2 (ორი) დედნად.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

ვახტანგ გომელაური

